ნებრასკის უნივერსიტეტი
კრიმინოლოგიისა და სისხლის სამართლის სკოლა
29 აგვისტო, 2024

ძვირფასო საქართველოს რესპუბლიკის კოლეგებო,

.მსოფლიოში დაახლოებით 40 ეროვნული და საერთაშორისო სამეცნიერო კრიმინოლოგიური ასოციაცია არსებობს. მე მოვახერხე სტუმრობა თითქმის ყველა ამ ორგანიზაციაში. მათ შორის მქონდა საშუალება, რომ ვწვეოდი საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემიას, მის წევრებს. ამ ორგანიზაციაში ჩართული პირები ცდილობენ გაზარდონ და გააფართოვონ ცოდნის ბაზა ჩვენს სფეროში და ეს ინფორმაცია ფართოდ გაავრცელონ. მათ დააარსეს ჟურნალი, ამჟამად ორგანიზაციას აქვს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ნარკოტიკებისა და დანაშაულის ოფისში, კონსულტანტის სტატუსი. მომავალ წელს გეგმავენ საერთაშორისო კონფერენციის გამართვას საქართველოში, რომელიც ფოკუსირებული იქნება ორგანიზებულ დანაშაულობაზე. ეს ძალიან მნიშვნელოვანი მოვლენაა.

დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე გრიგოლ რობაქიძის სახლობის უნივერსიტეტის სამართლისა და კრიმინოლოგიის სამეცნიერო - კვლევითი ინსტიტუტის საქმიანობამ. მე მივიღე მონაწილეობა მრგვალი მაგიდის არაერთ ღონისძიებაში, და ასევე ჩავატარე რამოდენიმე პრეზენტაცია უნივერსიტეტის აუდიტორიაში. აგრეთვე ჩავატარე რამოდენიმე საჯარო ლექცია, რომლებსაც ამ ინსტიტუტის წევრები აწყობდნენ - განსაკუთრებით, პროფესორი მალხაზ ბაძაღუა.

სამართლისა და კრიმინოლოგიის სამეცნიერო კვლევითმა ინსტიტუტმა, დოქტორ მალხაზ ბაძაღუას ხელმძღვანელობით, დაამკვიდრა ბრწყინვალე სტანდარტი და შეაქვს მნიშვნელოვანი წვლილი საქართველოს რესპუბლიკაში კრიმინოლოგიის დარგის განვითარებაში.

კვლევითი ინსტიტუტი იღწვის შეასრულოს თავისი მისია და მიზანი კავშირების გაფართოებით და ეძებს პარტნიორებს თანამშრომლობისათვის, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისა და კრიმინოლოგიის დარგის განვითარებისთვის ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე.

როგორც, საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემიამ, ისე გრიგოლ რობაქიძის სახელობის სამართლისა და კრიმინოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტმა საფუძველი ჩაუყარა და ახლა დიდ ნაბიჯებს დგამს საქართველოში კრიმინოლოგიის განვითარებასა და გაძლიერებისათვის.

კრის ესკრიჯი,
კრიმინოლოგიის პროფესორი